

## პროექტი PRINTeL

ინოვაციურ პედაგოგიკასთან დაკავშირებული სერტიფიცირებული ტრენინგი

### “შერეული/ჰიბრიდული სწავლება-სწავლა”

11-15 მარტს, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტში, ასისტენტ პროფესორმა ნინო ხოლუაშვილმა (სტუ-ს სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი), ევროკავშირის მიერ დაფინანსებული Erasmus+ პროგრამის PRINTeL პროექტის ფარგლებში, პროფესორ-მასწავლებელთა პროფესიული განვითარების დამატებითი შესაძლებლობების შეთავაზების მიზნით ჩაატარა ინოვაციურ პედაგოგიკასთან დაკავშირებული საუნივერსიტეტო პედაგოგთა სერტიფიცირებული ტრენინგი (TT) კურსი “შერეული/ჰიბრიდული სწავლება-სწავლა“.



ტრენინგის პროცესი

აღსანიშნავია, რომ ასისტენტ პროფესორმა ნინო ხოლუაშვილმა შესაბამისი გადამზადება (ტრენერთა ტრენინგები - TOT) გაიარა პროექტის კონსორციუმის წევრ პარტნიორ ევროპულ უნივერსიტეტში - გრაცის იოანეუმის გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტში (FH JOANNEUM) (ავსტრია), 2018 წლის ნოემბერში.

ხუთდღიანი ტრენინგის კურსი ითვალისწინებდა 10 საათს: 5 დღის განმავლობაში დღეში 2-2 სთ და 20 სთ ინდივიდუალური სამუშაო (1 ECTS კრედიტი).

ტრენინგი შედგებოდა ხუთი მოდულისგან: პირველი - შერეული სწავლების თეორიების წარდგენა, რასაც მოჰყვა დისკუსია მეთოდის ძლიერი მხარეებისა და პოტენციური რისკების შესახებ, ასევე განხილული იქნა პრაქტიკული ამოცანები.



*მონაწილეების ინდივიდუალური მუშაობა*

დანარჩენ მოდულებში (E-მოდერაცია, პროექტზე დაფუძნებული სწავლება, E-პორტფოლიო, მულტიმედია) მონაწილეებს საშუალება მიეცათ, პრაქტიკულად ემუშავათ სხვადასხვა ონლაინპლატფორმებზე, მათ შორის Moodle, Trello, Google Sites და სხვა. ისინი, ასევე, გაეცნენ მულტიმედიის ძირითად ინსტრუმენტებს, როგორცაა, მაგალითად, ვიდეოს რედაქტირება.

კურსის ბოლო დღე მიემდგვნა მონაწილეთ მიერ შესრულებული პრეზენტაციების წარდგენას და მათი მხრიდან ტრენინგ-კურსის შეფასებებს.

საგულისხმოა, რომ ტრენინგ-კურსს დაესწრო სტუ-ს 5 ფაკულტეტის 14 სხვადასხვა აკადემიური დეპარტამენტის 40 ლექტორი (საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი; სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი; არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტი; ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტი; ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტი).



*სწავლების ტიპების განსაზღვრა და ანალიზი*

კურსის წარმატებით დასრულების შემდგომ მონაწილეებს გადაეცათ სათანადო სერტიფიკატები.



*შესრულებული სამუშაოები*



*ტრენინგის დასასრული*